ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა

კომისიის სხდომის ოქმი №36

20 ნოემბერი, 2019 წელი
14:00 საათი
(ოთახი N329)

სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. გიორგი ბირბიჩაძე
2. გიორგი დოხტურიშვილი;
3. გიორგი მუსხელიშვილი;
4. თამარ ტალიაშვილი;
5. მიხეილ ამაშუკელი;
6. ვლადიმერ ძნელაძე.

მოწვეული სტუმარები:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე აკაკი დანელია.
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ლევან მიქავა.
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის სოციალური განყოფილების უფროსი დათო გუბელაძე.
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი ქეთევან ველთაური

სხდომის დღის წესრიგი:

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (№12-0319319121-03, 15.11.2019).

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძე.

გიორგი ბირბიჩაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა. კომისიის წევრებს და მოწვეულ სტუმრებს წარმოუდგინა ქვორუმი და გააცნო დღის წესრიგი. კომისიის წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტით ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა მიმართულებით გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი პრიორიტეტების დაფინანსება:

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა განისაზღვრა 151 695,8 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში ჯანდაცვის პროგრამისათვის განსაზღვრულია 16 722,0 ათასი ლარი, მათ შორის გათვალისწინებულია და გრძელდება „c" ჰეპატიტის დიაგნოსტიკის, ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების და ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამები, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია, ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება, ტრანსპლანტაცია. სოციალური დაცვის პროგრამებისთვის ჯამში გათვალისწინებულია 134 973,8 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში გრძელდება ქვეპროგრამები, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება, შშმ პირთა საკურორტო მომსახურების პროგრამა, უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში, ხელოვნების სკოლებში და სპორტულ დაწესებულებებში, უფასო სასადილოებით მომსახურება რაიონებში, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები რაიონებში. პროგრამა საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მეტროთი და საბაგიროთი უფასოდ ან შეღავათით მოსარგებლე პირთა მომსახურებისათვის. სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების პროგრამა დაგეგმილია 13 527,0 ათასი ლარის ოდენობით, სხვა სოციალური დახმარების ღონისძიებები რაიონებში 18 810,6 ათასი ლარი, მათ შორის, გლდანის რაიონში - 2 291,8 ათასი ლარი, ნაძალადევის რაიონში - 2 600,0 ათასი ლარი, დიდუბის რაიონში - 1 800,0 ათასი ლარი, ჩუღურეთის რაიონში 1 600,0 ათასი ლარი, ვაკის რაიონში - 2 000,0 ათასი ლარი, საბურთალოს რაიონში - 2 000,0 ათასი ლარი, ისნის რაიონში - 1 618,8 ათასი ლარი, სამგორის რაიონში - 2 200,0 ათასი ლარი, კრწანისის რაიონში - 1 200,0 ათასი ლარი, მთაწმინდის რაიონში - 1 500,0 ათასი ლარი. წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება რაიონებში - 1050,0 ათასი ლარი.

2020 წელს გაგრძელდება ქვეპროგრამები, სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება, სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება, სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა და სხვა.

მოისმინეს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილის აკაკი დანელიას ინფორმაცია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტით ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა მიმართულებით გადანაწილებული ასიგნებების თაობაზე.
მისის თქმით, 2020 წლის იანვრის თვეში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პირველივე ცვლილებისას იგეგმება ცალკეულ პროგრამებზე თანხის დამატება.

კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია:

გაფანტული სკლეროზის და კოქსართროზის მკურნალობის მიზნობრივი ქვეპროგრამის დამატება და ასახვა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში. გიორგი ბირბიჩაძის თქმით, ვინაიდან გაფანტული სკლეროზით და კოქსართროზით დაავადებულთა მზარდი სტატისტიკა გვაქვს და დაავადებულებს

ესაჭიროებათ ძვირადღირებული მკურნალობა, ამის შესახებ ჯანდაცვის კომისიამ ჯერ კიდევ 2019 წლის დასაწყისში დააფიქსირა პოზიცია აღნიშნული მიზნობრივი ქვეპროგრამების შექმნის საჭიროების შესახებ, თუმცა ჯერ-ჯერობით ვერ მოხდა ამ მოთხოვნის ასახვა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტში.

წარმოდგენილ პროექტს ცალკეული კორექტირებით დაეთანხმა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისია.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

<u>კომისიამ დაადგინა</u>

პროექტი განხილული იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის უმრავლესობის დადებითი რეკომენდაციით.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე — გიორგი ბირბიჩაძე